



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 23 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №197/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- და --- 2022 წლის 14 დეკემბრის №197 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №784/197-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას. კერძოდ, იგი უთითებს, რომ მოსამართლემ უსაფუძველოდ უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და არასწორი თარიღით ატვირთა განჩინება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. ამასთან, მოსამართლის თანაშემწემ არ შეატყობინა, რომ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- და --- 2022 წლის 6 დეკემბერს სარჩელით მიმართეს --- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების --- და --- მიმართ საცხოვრებელი სხდომის გამოსყიდვის მოთხოვნით.

--- სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე. ამასთან, მოსარჩელეებს განემარტათ, რომ სარჩელის მიღების დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ, მათ კვლავ შეუძლიათ აღძრან იგივე სარჩელი.

2022 წლის 14 დეკემბერს --- და --- სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველებს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებმა 2022 წლის 10 ნოემბერს სარჩელით მიმართეს სასამართლოს. თუმცა, -- -- და -- -- უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე. აღნიშნული განჩინება მხარეებმა გაასაჩივრეს კერძო საჩივრით. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, სასამართლომ მხარეს უარი უთხრა განსახილველი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ამასთან, სასამართლომ მათ განუმარტა, რომ საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოების თავიდან აცილების შემდეგ, მათ შეეძლოთ კვლავ მიემართათ სასამართლოსთვის სარჩელით.

შესაბამისად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, საჩივრის ავტორების მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

ამასთან, საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლის თანაშემწემ არ შეატყობინა, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვათ უარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მითითებული კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს მოსამართლისათვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 9 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე. შესაბამისად, არ დარღვეულა მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის კანონით დადგენილი ვადა. ამასთან, მხარე ზემოაღნიშნულ განჩინებას გაეცნო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით და მისი გასაჩივრების მიზნით, 2022 წლის 14 დეკემბერს კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

რაც შეეხება -- -- სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვის თარიღს. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, განჩინების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვა არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას.

შესაბამისად, კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს --- და --- 2022 წლის 14 დეკემბრის №197 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი